



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 24 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №122/20
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 6 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 ნოემბრის №852/122-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ---, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა კონტექსტში გაიზიარა, მიიღო სრულიად ალოგიკური გადაწყვეტილება. მოსამართლემ განაჩენში ისეთი მსჯელობა განავითარა, რომელიც მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება. ასევე, მოსამართლემ სასჯელი არ დანიშნა დანაშაულთა ერთობლიობით.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით:

-- რაიონული პროკურატურის პროკურორის --- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა --- სასამართლოს -- 2020 წლის 7 თებერვლის გამამართლებელი განაჩენი --- მიმართ.

-- -- ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 160 (ასსამოცი) საათის ვადით, რომლის სახესაც განსაზღვრავს პრობაციის ბიურო და რომლის ხანგრძლივობაც დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 (რვა) საათს. სსსკ-ის 62-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად 2019 წლის 19 მაისიდან 2019 წლის 23 მაისის ჩათვლით დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის ხუთდღიანი ვადა ჩაითვალა სასჯელის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის ერთი დღე - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი და საბოლოოდ -- -- სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 135 (ასოცდათხუთმეტი) საათის ვადით.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

საქართველოს სსსკ-ის 194-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოკვლეულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო. ამასთან, მტკიცებულებების გამოკვლევა არ უნდა გასცდეს სააპელაციო საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებს.

მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს მათი დამოკიდებულება საქმისადმი (შესახებობა), დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონი მათი შეკრებისას (დასაშვებობა), მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული შეეხება როგორც ექსპერტის დასკვნას, ისე მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მათი შეფასება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესით. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა. კერძოდ, თითოეული მტკიცებულება, მათ შორის მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებას თუ მათ შორის არის წინააღმდეგობა. მტკიცებულება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში ერთობლივად უნდა აკმაყოფილებდეს რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის კრიტერიუმს, თუმცა მტკიცებულების ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა.

მტკიცებულებებს შორის უნდა არსებობდეს შინაარსობრივი კავშირი, ისინი უნდა იყვნენ ურთიერთთავსებადი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთსა და იმავე გარემოებებზე უნდა უთითებდნენ და ერთსა და იმავე ფაქტებს უნდა ადასტურებდნენ. მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს აშკარა, ანუ ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებები აშკარად უნდა ადასტურებდნენ რაიმე ფაქტს ან გარემოებას და მათში ეჭვის შეტანის გონივრული საფუძველი არ უნდა არსებობდეს. იგი უნდა ადგენდეს პირის მიერ ქმედების ჩადენას და ეჭვის გაჩენის საფუძველი არ უნდა აჭარბებდეს დასაშვებ, გონივრულობის ზღვარს. ამასთან, მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს დამაჯერებელი, ანუ ურთიერთშეთანხმებული, აშკარა და უტყუარი მტკიცებულებები უნდა იყოს დამაჯერებელი, ობიექტური, ნეიტრალური და გონივრულად მოაზროვნე პირისათვის, რათა იგი დარწმუნდეს ბრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში და არ გაუჩნდეს ისეთი კითხვები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის არსებით გარემოებებს ეჭვქვეშ დააყენებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოს პრეროგატივა (*Barberia, Messegue, Jabardo v. Spain* §68).

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლე არ გასცნობია სისხლის სამართლის საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელს დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნავდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში მოცემულია სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები, ხოლო იმავე კოდექსის 59-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნას დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს.

სამართლიანი სასჯელის შეფარდება გულისხმობს სასჯელის პერსონიფიცირებას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილი ავალდებულებს მოსამართლეს დაასაბუთოს სასჯელის სახე და ზომა.

ვინაიდან, მოსამართლე სასჯელის დანიშვნის დროს კანონის ინტერპრეტირების ან/და საკითხის შეფასებისას მოქმედებს კანონმდებლობიდან გამომდინარე, შინაგანი რწმენით, დამოუკიდებელ

ინსპექტორს კანონით მინიჭებული კომპეტენციიდან გამომდინარე, არ აქვს უფლება დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში მოახდინოს მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენით განხორციელებული ქმედების შეფასება.

რადგან, კანონიერების კუთხით სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ნიშნავს სასამართლო აქტის სამართლებრივი მხარის შემოწმებას, კერძოდ, მიღებული გადაწყვეტილება რამდენად შეესაბამება სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე, საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, სწორად არის თუ არა გამოყენებული მატერიული სისხლის სამართლის კოდექსი და დაცულია თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, დასაბუთებულობის კუთხით სასამართლო გადაწყვეტილების შემოწმება კი ნიშნავს სასამართლო აქტის მტკიცებულებითი მხარის შემოწმებას, განაჩენის კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე მსჯელობა სცდება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებს.

კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის შეფარდების სამართლებრივი პროცესი განხორციელდა გარემოებათა შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე. მოსამართლე -- -- განაჩენის გამოტანისას მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, კანონისა და მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივი პროცესის შეფასება დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2020 წლის 6 ნოემბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი